

თბილისის გ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

ნიკოლოზ გიორგის ძე ტორთაღიძე

**მუსიკალური ნაწარმოების გააზრებისა და
საშემსრულებლო ინტერპრეტაციის საკითხები
ფსიქოლოგიის კონტექსტში**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეზიუმე

სპეციალიზაცია – მუსიკოლოგია 100704

თბილისი, 2011

სამეცნიერო ხელმძღვანელი **დავით არუთინოვი-ჯინჭარაძე**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი

ექსპერტები: **ივანე ჟღანტი**
მუსიკოლოგიის დოქტორი,
ასოც. პროფესორი

თაბა გოგოტიშვილი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ასოც. პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011წ. 17 ივნისს, 11 სთ.
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე №9.
მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8, IV სართული,
აუდიტორია №421.

დისერტაციისა და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებე-
ლია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის
ვებ. გვერდზე: <http://www.conservatoire.edu.ge>.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი _____

ეკატერინე ონიანი
მუსიკოლოგიის დოქტორი,
ასოც. პროფესორი

ნაზრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ცნობილია, რომ მუსიკოს-შემსრულებლის მიერ ნაწარმოების სცენაზე გამოტანას ხანგრძლივი მუშაობა უძღვის წინ. ეს გულისხმობს არა მარტო ნაწარმოების ტექნიკურ დაუფლებას, არამედ, იმავდროულად, მის საინტერპრეტაციო გეგმის თანდათან გამოკვეთას შინაარსის, დრამატურგიის, კომპოზიციისა და მუსიკალური ენის გააზრების საფუძველზე. იმისთვის, რომ შემსრულებლის გონებაში ასეთი გეგმა ჩამოყალიბდეს, მისაღებია მრავალი შემოქმედებითი გადაწყვეტილება, გამომსახველი საშუალებების შერჩევის, მათი ორგანიზების, შეფასების და ა.შ. თვალსაზრისით. ასეთი გადაწყვეტილებები შემსრულებელმა უნდა მიიღოს მაშინაც, როდესაც კომპოზიტორი დიდ თავისუფლებას ანიჭებს ტექსტის ინტერპრეტირებისას და მაშინაც, როდესაც საკომპოზიტორო მითითებები ზედმიწევნით ზუსტი და ამომწურავია.

იმისთვის, რომ მუსიკოს-შემსრულებელმა მხატვრული გადაწყვეტილების მიღება შეძლოს, მას უნდა გარკვეული კრიტერიუმები გააჩნდეს მუსიკალურ შესრულებასთან დაკავშირებით. იკვეთება ამ კრიტერიუმების გამოვლენა-აღწერის ამოცანა. მის გადასაწყვეტად ფსიქოლოგიაში არსებულ მონაცემებს და ზოგიერთ თეორიას ვეყრდნობით. მიგვაჩნია, რომ, ერთი მხრივ, ამ გზით შესაძლებელია იმ ფიზიკური და აზრობრივი მოქმედებების, ოპერაციების გააზრება, რომელთა საშუალებითაც მუსიკოს-შემსრულებელი ახდენს ნაწარმოების შესწავლასა და რეალიზებას. მეორე მხრივ, ეს მოქმედებები ხორციელდება კონკრეტული მუსიკალური მასალის მიმართ, რომელიც გარკვეული მუსიკალური ფორმების სახით არსებობს. ამდენად, იქმნება ხსენებული ფორმების თავისებურებების და თვისებების, მეტადრე კი მათი გამომსახველი შესაძლებლობების ანალიზის საჭიროება.

როგორც ცნობილია, მუსიკალური ფორმა თავის სხვადასხვა ასპექტში დეტალურადაა გაშუქებული ა.ბ. მარქსის, პ. რიმანის, პ. შენკერის, ე. პრაუტის, ა. შონბერგის, ბ. ასაფიევის, ვ. ცუკერმანის, ლ. მაზელის, ვ. ბობროვსკის, იუ. ტიულინის, ვ. პროტოპოპოვის, ს. სკრებოვის, ი. რიჟინის, ვ. მედუშევსკის, პ. სტოიანოვის, ა. მილკას, ე. ნაზაიკინსკის და სხვათა შრომებში. ეს ასპექტები მოიცავს ფორმის ფუნქციებს, მნიშვნელობებს, მხარეებს, მუსიკალური ენის თვისებებს, ასევე ჟანრულ და სტილისტურ მიმართებებს და ა.შ. **ჩვენ კი ფორმის მუსიკალურ-დრამატურგიული შესაძლებლობების გამოვლენაზე და მათი საშემსრულებლო თვალსაზრისით გააზრებაზე გვაკმაზვილეთ ყურადღება.** ამ უკანასკნელის მიმართ ასევე დიდი რაოდენობის მასალა არსებობს, მაგალითად, გამოჩენილი შემსრულებლების გამონათქვამები – ფ. ლისტის, პ. კაზალსის, ი. პოფმანის, ა. კორტოს, კ. ფლეშის, პ. ნეიჰაუზის

და სხვათა, მუსიკოლოგთა შრომები – ვ.ფომინის, ნ.კორიხალოვას, ა. მალინკოვსკაიას, ო. სახალტუევის, ე. ნაზაიკინსკის, მ. სერებკოვა-ფილატოვას, ასევე კრებულები „საშემსრულებლო ხელოვნების საკითხები“, „საფორტეპიანო შემსრულებლობის საკითხები“, „მუსიკალური შემსრულებლობა“ და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში ზემოხსენებული მიდგომა ფსიქოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ხორციელდება. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს, ჯერ ერთი, უფრო სიღრმისეულად და სრულად ვწვდეთ მუსიკალური ფორმების გამომსახველ შესაძლებლობებს, მეორეც, დავამყაროთ კავშირი მუსიკალურ მოვლენებსა და ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს, მუსიკასა და („ფსიქოლოგიის შუამავლობით“) ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებს შორის. ეს მონაცემები ეხება, ერთი მხრივ, შემსრულებელს, მეორე მხრივ კი – მსმენელს, მისი აღქმის კანონზომიერებებს. ამრიგად, წინამდებარე დისერტაციაში ერთიანადაა განხილული მუსიკალური ფორმის, შემსრულებლობისა და ფსიქოლოგიის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ მკვლევარებმა მუსიკასთან დაკავშირებული მოვლენების შესწავლა ექსპერიმენტული ფსიქოფიზიკის, შემდგომ კი ფსიქოლოგიის განხილვითანავე დაიწყეს. საწყის ეტაპზე მთავარი ყურადღება სმენით შეგრძნებებს ეთმობოდა. ასეთი ვითარება საერთოდ დამახასიათებელი იყო ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარების ადრეული ეტაპისათვის. კვლევის ძირითად ობიექტს „არამუსიკალურ“ ფსიქოლოგიაშიც შეგრძნებები შეადგენდნენ. პირველ მნიშვნელოვან ნაშრომად მუსიკის ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის დარგში ითვლება ჰ. ჰელმჰოლცის წიგნი „მოძღვრება ტონთა შეგრძნებების შესახებ, როგორც მუსიკის თეორიის ფიზიოლოგიური საფუძველი“ (1863). ამ წიგნით დაინტერესდნენ მუსიკოსებიც – ცნობილია, რომ მას ყურადღებით სწავლობდა ნ.რიმსკი-კორსაკოვი.

1873 წელს გამოჩენილი გერმანელი მუსიკოლოგი ჰუგო რიმანი იწყებს თავის მოღვაწეობას მუსიკალური სმენისადმი მიძღვნილი დისერტაციით. ამ დისერტაციაში ის ცდილობდა მუსიკალური თეორია იმდროინდელი ფიზიოლოგიისა და აკუსტიკის უახლეს მონაცემებზე დაეფუძნებინა.

მნიშვნელოვანია კარლ შტუმპფის მოღვაწეობა. მის კვლევებში კონსონანსისა და დისონანსის თაობაზე აქცენტი უკვე აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური სფეროდან ფსიქოლოგიურ სფეროზე გადადის, თუმცა შტუმპფი მაინც მნიშვნელოვანწილად ჰელმჰოლცის მიერ დადგენილ საზღვრებში რჩება. აღსანიშნავია ასევე გ. რევეშის, ვ. კელერის კვლევები. აშშ-ში ინტენსიური კვლევა-ძიება გააჩადა კარლ სიშორმა. ისიც ძირითად ყურადღებას მუსიკალური სმენის

კვლევას უთმობდა. ასეთი აქცენტი სმენით შეგრძნებაზე განპირობებული იყო, ერთი მხრივ, სმენითი შეგრძნებების კვლევის შედეგებით სიადვილით, მეორე მხრივ კი – ფსიქოლოგიაში იმ დროისათვის გაბატონებული მსოფლმხედველობით. ეს მსოფლმხედველობა გულისხმობდა ატომისტურ მიდგომას, რომლის თანახმადაც, მთლიანი მოვლენა მეორადია და უფრო მარტივი, ელემენტარული მოვლენების თითქოსდა ჯამს, ასოციაციების კავშირს წარმოადგენს.

„გეშტალტფსიქოლოგიის“ გაჩენას მოჰყვა ამ თვალსაზრისის უკუგდება (ნაწილობრივ მაინც). „გეშტალტფსიქოლოგიის“ მიხედვით, პირველადი სწორედ მთლიანის აღქმაა, ხოლო ელემენტების ორგანიზება – მთლიანის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ამ მიმდინარეობის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ მ. ვერტჰაიმერი, ვ. კელერი, კ. კოფკა. „გეშტალტფსიქოლოგებს“ ძალზე უყვარდათ მაგალითების მოყვანა მუსიკის სფეროდან. ასე, მელოდია იგივე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ელემენტები – ბგერები შეიძლება შეიცვალოს (რეგისტრის, შტრიხების ან ტემპის მხრივ). „გეშტალტფსიქოლოგიაში“ ფსიქოლოგიურ აზროვნებაში დიდი ძეგრა გამოიწვია, თუმცადა, მთლიანობაში „გეშტალტფსიქოლოგიის“ ფარგლებში მუსიკის ფსიქოლოგიური გააზრება არ მოხდა (იმისდა მიუხედავად, რომ ვ. კელერმა თავისი მოღვაწეობა მუსიკის ფსიქოლოგიის დარგში დაიწყო). ფსიქოლოგიის (კერძოდ, აღქმის) კანონზომიერებებზე დაფუძნებული მუსიკის, როგორც ხელოვნების თეორიის შექმნა ე. კურტის სახელს უკავშირდება. მისი წიგნი „მუსიკალური ფსიქოლოგია“ (1931) ამ დარგის საეტაპო მოვლენას წარმოადგენს. ე. კურტი ეყრდნობა როგორც თვითდაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებსა და მათ ანალიზს, ასევე მრავალრიცხოვან ექსპერიმენტულ გამოკვლევას.

მნიშვნელოვანია ა. ველეკის მოღვაწეობა. „გეშტალტფსიქოლოგიის“ პოზიციებზე მდგომ ამ მკვლევარის ინტერესთა სფეროში შედიოდა როგორც მუსიკალური აღქმის, ასევე მუსიკალური ესთეტიკის საკითხები.

რუსი ფსიქოლოგის ბ. ტეპლოვის ნაშრომში „მუსიკალური ნახახების (способностей) ფსიქოლოგია“ საუბარია როგორც მუსიკალურ შეგრძნებებზე, ასევე ადამიანის მუსიკალურ მონაცემებზე, ზოგადთეორიულ და ესთეტიკურ საკითხებზე (ე. ნაზაიკინსკი, „მუსიკალური აღქმის ფსიქოლოგია“, გვ. 13-49).

კვლევები წარმოებდა საქართველოშიც (მათ შორის დ.უხნაძის განწყობის თეორიის საფუძველზეც). აქ შეიძლება გავიხსენოთ: გ.კენხუაშვილი (იხ. „К проблеме психологии восприятия музыки“, კრებულიში „Вопросы музыкознания“, том 3, Москва, 1960, ასევე „Музыка и фиксированная установка“ კრებულში „Бессознательное“, თბილისი, 1978, том 2), ვ. კაკაბაძე (იხ. „მუსიკის ფენომენი“, ქუთაისი, 1993),

ბ. თავხელიძე (იხ. „О восприятии музыкального стиля“, „Мацне“, №4, Тბილისი, 1975, ასევე „Некоторые вопросы восприятия музыки“. Дис. Тბილისი, 1978), ლ. სამსონიძე (იხ. „Особенности развития музыкального восприятия“, თბილისი, 1987), ი. გერსამია (იხ. „К проблеме психологии творчества певца“, თბილისი, 1985) თ. ბაკურაძე (იხ. „Психологическая характеристика семантического значения музыки“, თბილისი, 2006).

მუსიკათერაპიის დარგში აღსანიშნავია თ. გოგოტიშვილის შრომები (იხ. „მუსიკათერაპიის ეფექტი ყურადღების დეფიციტისა და პიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებში“, დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალი, თბილისი, „მაცნე“, №1, 2005, „მუსიკათერაპიის ეფექტი სმენისა და მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვებში“, თბილისი, დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალი, „მაცნე“, №1, 2006, „თანამედროვე მუსიკათერაპიის ისტორიული წინამძღვრები – მიმოხილვა“, დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, კრებული „ფსიქოლოგია“, თბილისი, 2007) და სხვები.

მუსიკალური ფსიქოლოგიის დარგში კვლევები, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, გააქტიურდა. ნაწილობრივ ეს უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების გამოგონებას, რომელთა საშუალებითაც ტვინის მუშაობაზე დაკვირვება გახდა შესაძლებელი. გამრავალფეროვანდა კვლევების თემატიკაც – მუსიკასთან დაკავშირებული ემოციური პროცესები, მუსიკალური შემოქმედება, მუსიკის სოციალური ფსიქოლოგია. მუსიკალური შემსრულებლობის სხვადასხვა ასპექტმა ასევე მიიპყრო ფსიქოლოგთა და მუსიკოსთა ყურადღება (მაგალითად, ა. ცაგარელის, გ. მანტელის, ა. ვილიამონის და სხვათა ნაშრომები). მიუხედავად ამისა, მუსიკალური შემსრულებლობა, ვფიქრობთ, მაინც არაა სათანადოდ გააზრებული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით.

ამრიგად, ჩვენს ნაშრომში, როგორც მუსიკალური ფორმების გამომსახველი შესაძლებლობები, ასევე მუსიკოს-შემსრულებლის საქმიანობა განიხილება ფსიქოლოგიის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ლიტერატურა დაგროვდა როგორც მუსიკალური შემსრულებლობის, ასევე მუსიკალური ფორმების თვისებების შესახებ, ეს ლიტერატურა ნაკლებად ეფუძნება ფსიქოლოგიის მასალებს.

ყოველივე ამან გვიბიძგა თემის არჩევისაკენ – მსმენელის აქტის კანონზომიერებებიდან გამომდინარე, მოგვეხდინა მუსიკალური ფორმებისა და რეპრიზის პრინციპის მუსიკალურ-დრამატურგიული შესაძლებლობების, ასევე საშემსრულებლო ინტერპრეტაციის საკითხების ფსიქოლოგიური გააზრება სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებზე დაყრდნობით; ამასთან ერთად, კიუნგისა და ჯ.კელის თეორიების გამოყენებით განგვეხორციელებინა

კონკრეტული ციკლური მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური ანალიზი (ი.ბრამსის სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის, თხზ. 38, მი-მინორი).

კვლევის ობიექტი და საგანი. წინამდებარე დისერტაციაში კვლევის ობიექტად მუსიკალური ნაწარმოები და მისი შესრულება გვევლინება, საგნად კი – მუსიკალური სახის, მუსიკალური ფორმის და მუსიკოს-შემსრულებლის მხატვრული გადაწყვეტილებების ფსიქოლოგიური ასპექტები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია მუსიკალური შემსრულებლობის პროცესში მხატვრულ გადაწყვეტილებათა მიღების კრიტერიუმების გამოვლენა და მუსიკალური ფორმების, რეპრიზის პრინციპის გამომსახველ შესაძლებლობათა ფსიქოლოგიურ კონტექსტში გააზრება, საშემსრულებლო ინტერპრეტაციის გათვალისწინებით. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მიდგომის უპირატესობად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, მუსიკალური ფორმების უფრო სიღრმისეული და სრული წვდომის მიღწევა, მეორე კი, მუსიკალურ მოვლენებსა და ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს, მუსიკასა და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებს შორის კავშირის უკეთესი გააზრების პერსპექტივის გაჩენა.

ამ მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა გახდა საჭირო: მუსიკალური შემსრულებლობის ზოგადი მოდელის ჩამოყალიბება, კრიტერიუმების გამოვლენა, მათი კლასიფიცირება, დახასიათება, მუსიკალური სახის ცნების ფსიქოლოგიური ანალიზი, მთელი რიგი მუსიკალური ფორმების მოკლე დახასიათება და მათი გამომსახველი შესაძლებლობების გააზრება (შესაბამისი მაგალითების მოხმობით), მსმენელის აღქმის ფსიქოლოგიური კანონზომიერებებიდან გამომდინარე, ყოველივე ამის საფუძველზე კონკრეტული ნაწარმოების (ბრამსის ხსენებული სონატის) ფორმისა და შინაარსის კომპლექსური ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია. რამდენადაც წინამდებარე მუსიკოლოგიური კვლევა ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან კომპონენტს შეიცავს, ის ეფუძნება, ერთი მხრივ, მუსიკალურ-თეორიულ, ისტორიულ და საშემსრულებლო, მეორე მხრივ კი – ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდოლოგიებს. ამდენად, კვლევა ეფუძნება კომპლექსურ, მრავალმხრივ მიდგომას.

კვლევის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები:

1. ერთობლივადაა განხილული მუსიკალური ნაწარმოების – მისი ფორმის (მათ შორის „დიდი პოლიფონიური ფორმის“), რეპრიზის პრინციპის, მუსიკალური შემსრულებლობის და ფსიქოლოგიის საკითხები.

2. წინა პლანზეა წამოწეული მუსიკალურ-საშემსრულებლო გადაწყვეტილებების მიღების პრობლემა, რომელიც განხილულია მუსიკოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე.
3. მუსიკალური შემსრულებლობის მოვლენები გააზრებულია იუნ-გინური ფსიქოლოგიის პოზიციებიდან.
4. განხილვა მუსიკალურ-საშემსრულებლო ანალიზის მეთოდოლოგია, დაფუძნებული ჯორჯ კელის თეორიის ძირითად ცნებაზე – პიროვნულ კონსტრუქტზე (პიროვნულ კონსტრუქტში მოიაზრება დიქტომიური, ორპოლუსიანი ფსიქიკური სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ადამიანი ახდენს სამყაროსა და თავისი აქტუალური ყოფიერების გააზრებას, ორგანიზებას და მომავალი მოვლენების პროგნოზირებას).
5. მოძიებული და განზოგადებულია მუსიკოს-შემსრულებლის საკონცერტო დელევის შესახებ ინფორმაცია და მისი დაძლევის ფსიქოლოგიური მეთოდები.
6. მუსიკალური ფორმების გამომსახველი შესაძლებლობები გააზრებულია ფსიქოლოგიურ ჭრილში ბეთჰოვენის, გლინკას, ვერდის, ვაგნერის, შოპენის, ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის, რახმანინოვის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, ფალია-შვილის ნაწარმოებების მაგალითზე.
7. ბრამსის სონატის ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, თხზ. 38, მიმინორი კომპლექსური ანალიზის მაგალითზე ჩამოყალიბებულია ხსენებული მუსიკალურ-საშემსრულებლო მიდგომა და რეკომენდაციები.

დისერტაციის აპრობაცია. დისერტაციის აპრობაცია განხორციელდა მუსიკის თეორიის მიმართულების პროფესორთა გაფართოებულ სხდომაზე, მუსიკის ისტორიისა და საშემსრულებლო მიმართულებების პროფესორთა მონაწილეობით, 2011 წლის 28 აპრილს. დისერტაცია რეკომენდებულ იქნა დასაცავად.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის მასალები და ძირითადი დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესში: მუსიკალურ-საშემსრულებლო სპეციალობების სწავლებისას, მუსიკალური ფორმის, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, ასევე მუსიკის ფსიქოლოგიის საღეჭციო კურსში.

დისერტაციის მასალები ასახულია სამ სტატიაში.


ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაციის ტექსტი მოიცავს 282 გვერდს. ის შედგება შესავალის, სამი თავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართისგან. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე) შეიცავს 128 დასახელებას.

ნაშრომის შინაარსი

დისერტაციის **შესავალში** მოტივირებულია სადისერტაციო თემის აქტუალობა და ნაშრომის თემის არჩევა, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი და საგანი, მიზანი და ამოცანები. აღინიშნება დისერტაციის მეცნიერული და პრაქტიკულ-ინტერპრეტაციული სიახლე, მოყვანილია ნაშრომის სტრუქტურა.

თავი I. მუსიკალური შემსრულებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები. I თავში წარმოდგენილია მუსიკალური შემსრულებლობის ზოგადი მოდელი (**I.1**). ცნობილია, რომ მოდელი ესაა რეალობის რაიმე სეგმენტის გამარტივებული და თვალსაჩინო გამოსახულება, შესაბამის საკითხზე ნათელი წარმოდგენის შექმნის მიზნით. დისერტაციაში რეალობის ასეთ სეგმანტად მუსიკოს-შემსრულებლის ქცევაა მიჩნეული. უკანასკნელი მოიცავს მუსიკალური ინტერპრეტაციის დაგეგმვას, ნაწარმოების ამა თუ იმ ასპექტის ტექნიკურ დამუშავებას, სცენაზე გასვლისას საკუთარი ემოციური მდგომარეობის მართვას, საონცერტო გამოსვლას და მის შეფასებას. ყველა ეს პროცესი დაკავშირებულია მუსიკოს-შემსრულებლის მიერ სხვადასხვა მხატვრული გადაწყვეტილებების მიღებასთან და ამ გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებასთან. მოდელი ეფუძნება რიგ ფსიქოლოგიურ თეორიებსა და მიდგომებს. ესენია: მოდელი SOAR-ი (იშიფრება როგორც STATE-OPERATORS-AND-RESULT – მდგომარეობა-ოპერატორები-და-შედეგი), კურტ ლევინის ფსიქოლოგიური ველის თეორია, ჯორჯ მილერის, კარლ პირბრამის და იუჯინ გალანტერის მოდელი TOTE (TEST-OPERATE-TEST-EXIT – ტესტი-ოპერაცია-ტესტი-გასვლა) და ჯორჯ კელის პიროვნულ კონსტრუქტთა თეორია.

წარმოდგენილი მოდელი სქემატურადაა გამოსახული მოყვანილ ნახატზე:



ზოგადი მოდელი. რიცხვებით აღნიშნულია მოდელის კომპონენტები: 1 – კონტექსტი, ფსიქოლოგიური ველი, პრობლემური სივრცე; 2 – პიროვნება, როგორც ინდივიდუალური ორგანიზმი; 3 – საწყისი მდგომარეობა მოქმედების წინ; 4 – ამ მდგომარეობის შეფასება, „ტესტირება“ მუსიკოს-შემსრულებლის მიერ; 5 – შეუსატყვისობა მუსიკოს-შემსრულებლის აქტუალურ და სასურველ მდგომარეობებს შორის; 6 – გაურკვეველობა, მუსიკოს-შემსრულებელს არ შეუძლია განსაზღვროს, რამდენად შეესატყვისება მისი აქტუალური მდგომარეობა მის სასურველ მდგომარეობას; 7 – მუსიკოს-შემსრულებლის გარკვეული მოქმედება, ოპერაცია – შეუსატყვისობის თუ გაურკვეველობის აღმოსაფხვრელად; 8 – მუსიკოს-შემსრულებლის მხრიდან მოქმედება-ოპერაციის შეფასების სტადიაზე დაბრუნება; 9 – შესატყვისობა მუსიკოს-შემსრულებლის აქტუალურსა და სასურველ მდგომარეობებს შორის; 10 – მუსიკოს-შემსრულებლის მხრიდან შემდეგ ეტაპზე გადასვლა; 11 – მუსიკოს-შემსრულებელზე მოქმედი სხვადასხვა ფსიქოლოგიური და არაფსიქოლოგიური ფაქტორები – როგორც პიროვნული, ასევე არაპიროვნული.

დისერტაციის შემდგომ ნაწილებში ამ მოდელის ცალკეული ასპექტები პირდაპირ ან ირიბად უფრო დეტალურადაა გაშლილი და გააზრებული.

I2. რამდენადაც მუსიკოს-შემსრულებლის ყოველი მოქმედება დაკავშირებულია გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი შედეგების შეფასებასთან, ისმის საკითხი ამ შეფასებების კრიტერიუმების შესახებ. ამგვარი კრიტერიუმების წარმოდგენა-გააზრების ფორმად მიჩნეულია ჯორჯ კელის თეორიის ძირითადი ცნება – პიროვნული კონსტრუქტი. ამ ცნების განხილვას ეძღვნება მონაკვეთი I2.

როგორც უკვე აღინიშნა, პიროვნულ კონსტრუქტში მიაზრება დიქტომიური, ორპოლუსიანი ფსიქიკური სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ადამიანი ახდენს სამყაროსა და თავისი ყოფიერების გააზრებას, ორგანიზებას და მომავალი მოვლენების პროგნოზირებას. სუბიექტი აღქმულ მოვლენებში ამჩნევს მსგავსებებსა და განსხვავებებს. ერთი რიგის მოვლენებში, მსგავსება-განსხვავებების საფუძველზე, ინდივიდი აყალიბებს კიდევ კონსტრუქტებს (კელი, 1955: 50).

კონსტრუქტების ჩამოყალიბება ეფუძნება მსგავსება-განსხვავების აღქმას, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეს კონსტრუქტი („მსგავსება/იგივეობა – განსხვავება“) ცენტრალურია არა მარტო მუსიკალური ხელოვნებისათვის (ბ. ასაფიევი, ა. შონბერგი), არამედ პიროვნულ კონსტრუქტთა თეორიისათვისაც. გამომდინარე აქედან, ყოველი მუსიკალური გამომსახველი საშუალების წარმოდგენა შეიძლება ან ცალკე დიქტომიების, ან დიქტომიების გარკვეული კომპლექსების სახით. გავისხენოთ, რომ გამომსახველ საშუალებებს განეკუთვნებიან: ინტონაცია, ფაქტურა, კილოპარმონია, მეტრი, რიტმი, ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, არტიკულაცია,

დინამიკა. თითოეული ასეთი საშუალება შეიძლება გამოიხატოს დიქტომიურად – ანტონიმური ზედსართავი სახელების საშუალებით. მაგალითად, კილოჰარმონიის მიმართ გვაქვს ტერმინები „მყარი-მერყევი საფეხურები“, მეტრის მიმართ – „ძლიერი და სუსტი დრო“, ასევე ტერმინები: „მაღალი და დაბალი რეგისტრი“, „ნათელი და მუქი ტემბრი“.

ისიც აღსანიშნავია, რომ ერთი გამომსახველი საშუალება მრავალ კონსტრუქტს მოიცავს – სხვადასხვა მუსიკოსს სხვადასხვა ასეთი კონსტრუქტი შეიძლება გააჩნდეს. მუსიკოს-შემსრულებელმა ნაწარმოების გაანალიზებისას შეიძლება მრავალი მსგავსი კონსტრუქტი გამოავლინოს. ხაზგასასმელია, რომ **თითოეული კონსტრუქტის საშუალებით შეიძლება არა მარტო ის მონაკვეთი იყოს გააზრებული, რომელშიც კონსტრუქტი გამოიკვეთა, არამედ მთელი ნაწარმოები.** შედეგად, იქმნება ნაწარმოებში მოცემული კონსტრუქტის გამოვლენის სხვადასხვა გრადაციების დადგენის შესაძლებლობა, რაც შემდგომ საინტერპრეტაციო გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი ხდება. ასევე, შესაძლებელია, ერთ ნაწარმოებში გამოვლენილი კონსტრუქტების სხვა ნაწარმოებების მიმართ გამოყენება.

მომდევნო მონაკვეთებში მასალის განხილვა და გააზრება მეტად თუ ნაკლებად ეფუძნება მუსიკალურ კონსტრუქტებს.

13. ამ მონაკვეთში მოყვანილია მუსიკალური კონსტრუქტების კლასიფიკაცია. გამოკვეთილია მუსიკალური მოვლენების ოთხი ჯგუფი, შესაბამისად, საქმე გვაქვს მუსიკალური კონსტრუქტების ოთხ ჯგუფთან.

I ჯგუფში გავაერთიანეთ ყველა ის მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია ბგერის წარმოქმნასთან, ფიზიკურ ქდერადობასთან და ასევე შესაბამისი მოტორული მოქმედებები, ანუ სხვადასხვა მოძრაობები, თითოეულ საკრავზე, მისი ბუნებიდან გამომდინარე.

II ჯგუფში მოვათავსეთ ყოველივე, რაც დაკავშირებულია ემოციურ და ენერგეტიკულ სფეროსთან. მხედველობაში გვაქვს ისეთი მოვლენები, როგორიცაა მუსიკოს-შემსრულებლის ტონუსი, (მოძრაობების) ძალისხმევა, ნაწარმოების შესრულებისას ემოციური სფეროს ჩართულობა.

III ჯგუფში მოვიაზრებთ იმ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება მუსიკის ორგანიზებას (მხედველობაში გვაქვს ისეთი ცნებები, როგორებიცაა დრამატურგია, ფორმა, ინტონირება, ფიგურა/ფონის საკითხები და ა.შ.).

IV ჯგუფი იმ საკითხებს მოიცავს, რომლებიც, ჩვენი აზრით, მუსიკას ღირებულებას ანიჭებენ. საუბარია მუსიკალური ესთეტიკისა და, ზოგადად, მუსიკის ფილოსოფიასთან დაკავშირებულ პრობლემემატიკაზე.

ითოვებული წინა ჯგუფის მოვლენები შემდგომი ჯგუფის ერთ-გვარ საფუძველს წარმოადგენს. ასე, უღერადობის გარეშე აზრი არა აქვს საუბარს ემოციურ ენერგეტიკაზე, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მუსიკალური ფორმის შექმნას, ხოლო სამივე ერთად – ღირებულებითი ასპექტების რეალიზების წინაპირობას წარმოადგენს. მართალია, მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას პროცესები ოთხივე ჯგუფში ერთდროულად მიმდინარეობს და ერთ მთლიანობად გვევლინება, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის ჩვენ მათ თანმიმდევრულად გავიაზრებთ.

14. IV ჯგუფის კონსტრუქტის საშუალებით განიხილება მუსიკალური შემსრულებლობის კავშირი ზოგად კულტურულ-ფსიქოლოგიურ კონტექსტთან. კერძოდ, ფაქტებს სამი გამოჩენილი შემსრულებლის (ნიკოლო პაგანინი, ფერენც ლისტის და იოზეფ იოახიმი) ბიოგრაფიებიდან და მუსიკალური შემსრულებლობის XIX საუკუნის ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს კარლ იუნგის ფსიქოლოგიური თეორიის ჭრილში ვიაზრებთ. მიზანი – მუსიკალური შემსრულებლობის პროცესში არქეტიპული შინაარსის გამოვლენაა. არქეტიპი, იუნგის თეორიის თანახმად, ესაა ადამიანის ფსიქიკაში იმთავითვე მოცემული, თანდაყოლილი პატერნები (კანონზომიერებები, წვდომის ფორმები), რომლებიც ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა. არქეტიპების საშუალებით მუსიკალური შემსრულებლობის გააზრების შედეგად ვაყალიბებთ კონსტრუქტს, რომლის პოლუსები გმირის არქეტიპის სხვადასხვა ასპექტებია – კერძოდ, ერთი პოლუსია „კულტურის გმირი“ (მითოლოგიური პერსონაჟი, რომელიც ამა თუ იმ ფასეულობას პეროიკული გზით, სიძნელეების გადაღახვითა და ურჩხულების დამარცხებით მოიპოვებს), ხოლო მეორე – „ტრიქსტერი“ (ეს პერსონაჟი ფასეულობების მოპოვებასა და მოწინააღმდეგეების დამარცხებას ეშმაკობით, მოხერხებითა და მოტყუებით ახდენს). ამ კონსტრუქტის საშუალებით შესაძლებელი ხდება გავიაზროთ როგორც ცალკეული ნაწარმოებები, ასევე სხვადასხვა საშემსრულებლო სტილი და მიმართულება. ამ კონსტრუქტს ვიყენებთ ბრამსის სონატის ანალიზისას, III თავში.

15. შემდგომ განვიხილავთ მუსიკოს-შემსრულებლის წინასაკონცერტო დელვას და მასთან გამკლავების საშუალებებს. დელვაში გამოყოფენ სამ ასპექტს – „ფიზიოლოგიურს“ (სხვადასხვა სიმპტომი: ხელების კანკალი, ოფლიანობა და ა.შ.), „ფსიქოლოგიურს“ (ემოციურს და აზროვნებითს) და „ქცევითს“ (იგულისხმება შეცდომები სცენაზე). შესაბამისად, დელვასთან გამკლავების საშუალებებიც ამ სამი ასპექტის მიხედვით არის დაჯგუფებული. საშუალებებში, თავის მხრივ განასხვავებენ „გრძელვადიან“ (რომელთა მოქმედებაც სისტემატურ ვარჯიშზეა დამოკიდებული) და

„მოკლევადიან“ (რომლებიც უშუალოდ კონცერტისწინა სიტუაციაზეა გათვლილი) საშუალებებს. ყველაზე უკეთესი შედეგი მაშინ მიიღწევა, როდესაც მუსიკოს-შემსრულებელი საშუალებათა მთელ კომპლექსს იყენებს. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში საჭიროა დელევის გამომწვევი სიტუაციების გამოვლენა, მათი დახარისხება სიმწვავის მიხედვით (ერთგვარ სკალაზე დალაგება – 0-დან 100-მდე, სადაც 0-10 მინიმალურ დელვას შეესაბამება, ხოლო 90-100 – მაქსიმალურს). შემდეგ კი, ძალისხმევის და მუშაობის კონცენტრაცია ჯერ მცირე ინტენსივობის დელვის გამომწვევ სიტუაციებზე უნდა მოხდეს, მერე კი, თანდათან, განხორციელდეს უფრო „ძნელ“ სიტუაციებზე გადასვლა.

დელვის პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გათვალისწინება მუსიკალური შემსრულებლობის დაგეგმვასა და რეალიზებაში ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად გვევლინება.

II თავი. „მუსიკალური ფორმების დრამატურგიული შესაძლებლობების ფსიქოლოგიური ასპექტები“. მოცემულ თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა რეპრიზის პრინციპი (II.1.), მუსიკალური სახე და თემა (II.2.), პერიოდი (II.3.), მარტივი ორნაწილიანი ფორმა (II.4.), მარტივი სამნაწილიანი ფორმა (II.5.), რთული სამნაწილიანი ფორმა (II.6.), რთული ორნაწილიანი ფორმა (II.7.), კონცენტრული პრინციპებით აგებული ფორმები (II.8.), რონდოს ფორმა (II.9.), ვარიაციული ფორმა (II.10.), სონატური ფორმა (II.11.), ციკლური ფორმა (II.12.), „დიდი პოლიფონიური ფორმა“ (II.13.).

II.1. ცნობილია, რომ გამეორების პრინციპი ერთ-ერთი ძირეული პრინციპია მუსიკალურ ხელოვნებაში. მუსიკა ეფუძნება, ერთი მხრივ, კონტრასტს, ახალი მასალის შემოსვლას, მეორე მხრივ კი, გამეორებას – ძველი მასალის ამა თუ იმ სახით დაბრუნებას. თუ ადგილი ექნება მხოლოდ ახალი მასალის შემოსვლას – მასალა შინაგან კავშირს დაკარგავს და უფორმო გახდება, თუ მხოლოდ გამეორებას ექნება ადგილი – მონოტონურობა დაისადგურებს. ორივე შემთხვევაში მუსიკა უსიცოცხლო ხდება. გამეორება შესაძლებელია სხვადასხვა სახით მოგვევლინოს. მან შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს: სინტაქსურ დონეზე (მოტივები, ფრაზები) განაწევრებულობის მიღწევაში. გამეორების შედეგად იქმნება ცეზურა. გვესმის რა გამეორებული მონაკვეთის დასაწყისი, ვასკენით, რომ წინა მონაკვეთი დასრულებულია. ამავე დროს, ცალკეული ბგერების (ფონიკური დონე) და პერიოდის (კომპოზიციური დონე) გამეორება გვიბიძგებს, რომ ისინი ერთიანობიქტად, ანუ მთლიანობად აღვიქვათ.

ზოგ შემთხვევაში მთელი მონაკვეთის ნაცვლად მხოლოდ მისი ნაწილის ჩვენება ხდება. ეს ნაწილი იმ ზომისა და მნიშვნელობის უნდა იყოს, რომ მსმენელის მიერ მოხდეს მისი ცნობა. ამ შემ-

თხვევაში ნაწილი მთელის ერთგვარ „წარმომადგენლად“ გვევლინება, რასაც ხშირად აქვს ადგილი დამუშავების ხასიათის მქონე მონაკვეთებში. სახეცვლილი რეპრიზის შექმნისას, კომპოზიტორი ამ საშუალებასაც (ნაწილი როგორც მთელის „წარმომადგენელი“) შეიძლება დაეყრდნოს.

იგივე ითქმის შემსრულებელზეც. თუკი მან ნაწარმოების რომელიმე მონაკვეთში განსაკუთრებული საშემსრულებლო ხერხით ისარგებლა, სხვა ადგილას იგივე ხერხის გამოყენებამ შეიძლება რეპრიზულობის ტენდენცია წარმოშვას.

რეპრიზა გამეორების კერძო შემთხვევას წარმოადგენს. რეპრიზის ტიპებია: ზუსტად გამეორებული და ვარიაციულად ან დამუშავებითი ხასიათის ცვლილებებით გამეორებული. შეიძლება მოხდეს მასშტაბების გაზრდით, ან შეკვეცით. განიხილავენ სახეშეცვლილი რეპრიზის შემდეგ გამომსახველობით-დრამატურგიულ მიზნებს: ექსპოზიციური ნაწილის მუსიკალური სახის გადახალისება, საწყისი მუსიკალური სახის ხარისხობრივი ტრანსფორმირება, ექსპოზიციური ნაწილის დედინამიზაცია, რეპრიზის გადაქცევა მთელი ფორმის კულმინაციად, ექსპოზიციური და შუა ნაწილის ელემენტების შერწყმა – სინთეზური რეპრიზა.

ზოგადად, რეპრიზის ფუნქციებია: დაბოლოება, შინაარსის ამოწურვა, სიმეტრიის შექმნა (რითაც ფორმის კონსტრუქცია მყარდება), საწყისი მუსიკალური სახის განმტკიცება, მისთვის მთავარი სახის მნიშვნელობის მინიჭება, საწყისი თემის გამდიდრება, რეპრიზა-კოდა.

რეპრიზაში მომხდარი ცვლილებები გამოწვეულია, როგორც წესი, შუა ნაწილის ზეგავლენით, ან ცვლილებები განპირობებულია ექსპოზიციის მუსიკალური სახის შიდა გაუწონასწორებლობით, ფარული დაძაბულობით, რომელიც იხსნება, ვლინდება (შუაგულის გვერდის ავლით) რეპრიზაში. ზოგ შემთხვევაში ცვლილებები რეპრიზაში გამოწვეულია დასრულების ფუნქციის საერთო ტენდენციებით – ექსპოზიციაში მოცემული მოდულაციის უარყოფა რეპრიზაში, ჰარმონიული სიმყარის მიღწევა, ფაქტურის გაჯერება, ტემპის შენელება (არუთინოვი-ჯინჭარაძე, 2004: 73-74).

რეპრიზა ყოველთვის უფრო მდიდარია, ვიდრე ექსპოზიციური ნაწილი. ის მეტი მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე უბრალოდ ექსპოზიციური ნაწილის გამეორება, მაშინაც კი, თუ ეს გამეორება ზუსტია. რეპრიზის მუსიკა ეღერს შუა ნაწილის შემდეგ, მისი გათვალისწინებით. ის აღიქმება ამ ნაწილის მეხსიერებაში არსებულ კვალთან ერთად, მისი ზეგავლენის პირობებში. ამდენად, რეპრიზული მასალა ყოველთვის შეჯამებას შეიცავს.

რეპრიზაში ორი მომენტის თანაარსებობა აღინიშნება: ერთი მხრივ, ექსპოზიციური ნაწილის განახლება, რაც მისი გამეორებით

მიიღწევა, მეორე მხრივ კი, შუა ნაწილთან, უშუალოდ წინა მასალასთან გარკვეული მიმართების დამყარება. შედეგად, შუა ნაწილის ზეგავლენით შეიძლება შეიცვალოს ამ ექსპოზიციური მასალის ემოციური შინაარსის აღქმა. ეს ცვლილება კი შუა და რეპრიზული ნაწილების ურთიერთქმედებითაა განპირობებული. მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რეპრიზა შეცვლილია, თუ არა (და რამდენადაა ის შეცვლილი), არამედ იმასაც, თუ რას ჰქონდა ადგილი ექსპოზიციურ ნაწილსა და რეპრიზას შორის (ანუ შუა ნაწილში) – მასალის ვარიაციულ გამეორებას, დამუშავებით განვითარებას, თავისუფალ გაშლას, თუ კონტრასტს.

შემსრულებლის წინაშე აქ გარკვეული შესაძლებლობები იშლება: ზუსტი რეპრიზის შემთხვევაში, ექსპოზიციური ან/და შუა ნაწილი მაინც ახდენს გავლენას რეპრიზაზე, ოღონდ ამ გავლენის წყარო არა საკომპოზიტორო ტექსტია, არამედ მსმენელის აღქმის თავისებურებები – რეპრიზის მასალას მსმენელი მეორედ („არაპირველად“) ისმენს. უკვე ეს ფაქტი მოქმედებს მის აღქმაზე – ყურადღება სხვა მომენტებსაც აფიქსირებს და, ამასთან ერთად, ექსპოზიციის აღქმისაგან განსხვავებით, აქ ერთვებიან მექსიერების პროცესები – კერძოდ, მექსიერების ფორმა – ცნობა. მეორეც, რეპრიზა უღერს შუა მონაკვეთის შემდეგ, გარკვეულწილად, ამ შუა მონაკვეთის ფონზე, რაც თავის დაღს ასვამს რეპრიზის აღქმას (ასიმილაცია, კონტრასტი – ამაზე ქვემოთ).

რამდენადაც შემსრულებელი მსმენელიცაა, ზემოთქმული მასზეც ვრცელდება. შედეგად, შემსრულებელს უნდება შესაძლებლობა საშემსრულებლო საშუალებების გამოყენებით გარკვეული მანიპულირებისა: ან ხაზი გაუსვას და წარმოაჩინოს ცვლილებები, ანდა მათი ნიველირება მოახდინოს. რეპრიზის მოვლენის შესახებ ფრიად საყურადღებოა ე. ნაზაიკინსკის თვალსაზრისი: რამდენი „ორობითი სისტემა“ შეიძლება გამოვავლინოთ მუსიკაში, მის ცალკეულ გამომსახველობით საშუალებებში (მაგალითად, მყარი – მერყევი, ერთხმიანი – მრავალხმიანი, სტაკატო – ლეგატო, ხემიანი – ჩასაბერი, ტუტი – სოლო, ფორტე – პიანო და სხვა), იმდენი რეპრიზულობის ტენდენციის განხორციელების შესაძლებლობა იქმნება... რეპრიზულობა ასევე დამოკიდებულია სისტემის თავისუფლების ხარისხზე. რაც უფრო ხისტია სისტემა, რაც უფრო ნაკლებია მასში შესაძლო მდგომარეობების რაოდენობა, მით მეტია ალბათობა, რომ სისტემა დაუბრუნდება ერთ-ერთ წინა მდგომარეობას (ნაზაიკინსკი, 1982: 251-253).

სხვადასხვა მუსიკალურ ფორმებთან მიმართებაში, რეპრიზის საკითხთან არაერთხელ ვგაქვს შეხება მუსიკალური ფორმების განხილვისას. მათი ძირითადი გამომსახველი შესაძლებლობები გააზრებულია სხვადასხვა ფსიქოლოგიური თეორიების მონაცემების

ჭრილში. როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი მიდგომის უპირატესობა, ჩვენი აზრით, მუსიკალური ფორმების გამომსახველობის უფრო სიღრმისეული და სრული წვდომის, ასევე მუსიკალურ მოვლენებს, ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებსა და ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს შორის უფრო გამოკვეთილი კავშირის დამყარების შესაძლებლობაში მდგომარეობს.

II.2. მუსიკალურ ფორმაში შინაარსი რომ იყოს აღბეჭდილი, ის უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტულ მუსიკალურ სახედ, ან სახეებად. მუსიკალური სახე, წარმოადგენს რა ესთეტიკურ კატეგორიას, ამა თუ იმ მუსიკალურ ფორმაში პოეზებს თავის რეალიზებას. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა მუსიკალურ ფორმას მუსიკალური სახეების ექსპონირების და განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები გააჩნია.

„მუსიკალური სახის“ ფსიქოლოგიური ბუნების გააზრებისას რამდენიმე მომენტი აღსანიშნავი:

1. მუსიკა ინტონირებული, ბგერითი ხელოვნებაა. ამდენად, აუცილებელია აღქმის კანონზომიერებების გათვალისწინება.

2. მუსიკა დროით ხელოვნებაა. აქედან გამომდინარე, მუსიკალურ სახეებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ადამიანის მიერ დროის აღქმის პროცესებს; ასევე მნიშვნელოვანია მეხსიერებასთან დაკავშირებული პროცესები.

3. მუსიკალურ შინაარსში ასევე იგულისხმება სხვადასხვა მოვლენების ემოციური აღბეჭდვა. შესაბამისად, მნიშვნელობას იძენს მუსიკისა და ემოციების კავშირის გააზრება.

4. მუსიკალური სახე აუცილებლად წარმოადგენს კონტექსტის ნაწილს და მისი განხილვა ამ კონტექსტიდან მოწყვეტით შეუძლებელია. დაისმის საკითხი: ფსიქოლოგიურად რას წარმოადგენს ეს კონტექსტი?

მუსიკალური სახე ყოველთვის ურთიერთკავშირშია ისეთ ფუნდამენტურ კატეგორიასთან, როგორცაა მუსიკალური თემა. მათ შორის შემდეგი თანაფარდობაა: ცნება მუსიკალური თემა ერთდროულად გამომსახველ და ტექნიკურ მხარეებს მოიცავს, ხოლო ცნება „მუსიკალური სახე“ – ესთეტიკური კატეგორიაა. ამ ცნებებს შორის ასეთი დამოკიდებულებაა: ზოგ შემთხვევაში ერთი თემის განვითარება იძლევა სხვადასხვა სახეებს და პირიქით, რამდენიმე თემის თანმიმდევრობა ინტეგრირდება ერთი მუსიკალური სახით.

ჩვეულებრივ, თემის ცნება გაიგება, როგორც დასრულებული მუსიკალური აზრი, რომელიც ხასიათდება ინტონაციურ-რიტმული ინდივიდუალობით, სტრუქტურული გაფორმებით და ლაკონიზმით. ფსიქოლოგიური კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ თემაში „გემსტალტური“ თვისებების მქონე სტრუქტურა ვლინდება.

როგორც ცნობილია, თემატური განვითარების პრინციპებია:

1. ზუსტი გამეორება – ფსიქოლოგიურად, ამ დროს თემის დამახსოვრება, განმტკიცება ხდება მსმენელის გონებაში. ის იქცევა ლოკალური კონტექსტის მარგანიზებულ ფაქტორად (უკეთ დამახსოვრების გამო).

2. ვარირებული გამეორება – აქ დამახსოვრება-განმტკიცება ეხება თემის არსებით მხარეებს; იქმნება ტენდენცია მათი აბსტრაგირებისა კონკრეტული მუსიკალური ქსოვილისაგან. ერთგვარი ანალოგია შეიძლება დავინახოთ იმასთან, თუ როგორ აღწერს ზოგიერთი ფსიქოლოგი ცნებების წარმოქმნას – ანალიზის გზით, ხდება კონკრეტული შინაარსებისგან აბსტრაგირება, შემდეგ ამ აბსტრაგირების სინთეზი ახალ მთლიანობად, რომელიც წარმოადგენს კიდევ ცნებას (უხნაძე, 1940: 390-392).

3. დამუშავებითი პრინციპი – აქ რეპრეზენტატიულობის პრინციპი თან ერწყმის კონტრასტის ეფექტებს.

4. თავისუფალი გაშლის პრინციპი ეყრდნობა ასიმილაციის პრინციპს – ყოველი შემდგომი მონაკვეთი თითქოსდა წინასვან მცირედ განსხვავდება, ცვლილებების „დაგროვება“ ხდება თანდათან.

5. წარმოებული კონტრასტის პრინციპი – ასიმილაციის ეფექტის ფორზე წარმოიქმნება ერთდროულად კონტრასტის ეფექტი, ანუ ზედაპირზე კონტრასტია, მაგრამ, ის თავის თავში გარკვეულწილად მსგავსებასაც შეიცავს.

6. დაპირისპირებული კონტრასტი – აქ კონტრასტის პრინციპი უფრო „სუფთა სახითაა“ წარმოდგენილი.

რაც შეეხება შიდათემატურ განვითარებას, მუსიკალურ თემაში ვლინდება ორი ტიპის შიდათემატური განვითარება: I – პერიოდულობის იდეაზე და II – გამჭოლი განვითარების იდეაზე დაფუძნებული. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თუკი I შემთხვევაში ხდებოდა მსმენელის ფსიქიკაში მოცემული იდეის განმტკიცებანაბეჭდვა, II შემთხვევაში თემატური ბირთვი არა მარტო განმტკიცდება, არამედ შემდგომ გაივლის განვითარების, განახლების ინტენსიურ ფაზას (კონტრასტული ელემენტის შემოყვანითაც კი). ამის შემდეგ ინტენსიური განვითარების ეს იდეა მოითხოვს საგანგებო დამასრულებელ ფაზას.

მუსიკალური ფორმების ძირითადი გამომსახველი შესაძლებლობები განიხილება ფსიქოლოგიის მონაცემების ჭრილში.

II.3. პერიოდის ფორმა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მცირე დასრულებული მუსიკალური ფორმაა, რომელიც აიგება ერთი თემის ჩვენებაზე (ან ჩვენებაზე და მის განვითარებაზე). ეს ფორმა საშუალებას აძლევს კომპოზიტორს, მუსიკალური სახე (სახეები) „გეშტალტად“ („გეშტალტებად“) ჩამოაყალიბოს და გამოკვეთოს. პერიოდის, როგორც დამოუკიდებელი მუსიკალური ნაწარმოების გამომსახველი შესაძლებლობების ფსიქოლოგიური წანამდგრების

გამოვლენა მოცემულია შოპენის პრელუდის სი-მინორი მაგალითზე, ხოლო პერიოდის ფუნქციის მქონე „დიდი წინადადების“, როგორც უფრო მსხვილი ფორმის შემადგენელი ნაწილისა – ვაგნერის ოპერის „ტრისტანი და იზოლდა“ შესავალის დასაწყისის მაგალითზე.

II.4. მარტივ ორნაწილიან ფორმას ორი ძირითადი გამომსახველი შესაძლებლობა გააჩნია. პირველ შემთხვევაში, განსხვავებით პერიოდისგან, წარმოდგენილია მუსიკალური სახის ექსპონირება და მისი განვითარება, მეორე შემთხვევაში კი ორი მუსიკალური სახის დაპირისპირება.

ფსიქოლოგიური კუთხით, რამდენადაც მუსიკალური განვითარება განიცდება როგორც მოძრავი, არამყარი ელემენტი, განმავითარებელი მეორე ნაწილის შინაარსი შეიძლება გავიგოთ, როგორც საწყისი მუსიკალური სახიდან დისტანცირება, მისი „წარსულში დატოვება“ (წარსული შეესაბამება I ნაწილს). გლინკას რომანსის „მე მახსოვს მშვენიერი წამი“-ის („Я помню чудное мгновенье“) პირველ კუპლეტში ფორმის ამგვარ წაკითხვას „მხარს უჭერს“ ტექსტი – I სტროფში საუბარია მოგონებაზე („Я помню чудное мгновенье“), ხოლო II სტროფში (შესაბამისად, II ნაწილში) – მოგონებასთან დაკავშირებულ ემოციურ განცდებზე („В томленьи грусти безнадежной“). თუ მოგონება წარსულის სურათების რეპროდუქციაა, ემოციური განცდა აწმყოს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, გამოყენებული მუსიკალური ფორმა ნატიფად „კითხულობს“ ტექსტის შინაარსს.

შესაძლებელია, რომ მეორე ნაწილი წარმოადგენდეს არა განვითარებას, არამედ გაგრძელებას. აქ თვით თემაა ორნაწილიანი. მისი მეორე ნაწილი პირველის ექსპონირების ორგანული გაგრძელებაა. ასეთ შემთხვევაში (რომლის ილუსტრაციას წარმოადგენს რახმანინოვის №2 საფორტეპიანო კონცერტის I ნაწილის მთავარი პარტია) I ნაწილში თემის მუსიკალური შინაარსი არ ამოიწურება, შედეგად იქმნება დაუსრულებლობის ერთგვარი განცდა, რომელიც მოითხოვს აზრის, მუსიკალური სახის გადმოცემის ბოლომდე მიყვანას. ფორმის წონასწორობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება მდგომარეობდეს „ზეიგარნიკის ეფექტად“ წოდებულ ცნობილ ფსიქოლოგიურ ფაქტში – დაუმთავრებელი, დაუსრულებელი მოქმედება უკეთ ამახსოვრდება ადამიანს, ვიდრე დასრულებული და დამთავრებული (შიფმანი, 2003: 780).

მარტივი ორნაწილიანი ფორმის მეორე სახეობა კონტრასტული ტიპისაა. ის აგებულია ორ განსხვავებულ თემაზე და მთლიანობაში განსხვავებული მუსიკალური სახეების დაპირისპირების იდეის რეალიზებას წარმოადგენს. ამგვარი ფორმა შეიძლება ფსიქოლოგიურად „წავიკითხოთ“, როგორც ორი ურთიერთგანპირო-

ბებუელი კონფლიქტური საწყისის დინამიური წონასწორობის ჩვენება. ისინი შეიძლება სხვადასხვა ჟანრულ სფეროს მიეკუთვნებოდნენ (გრივის „სოლვეივის სიმღერა“ სიუიტიდან „პერ-გიუნტი“ – მწუხარე I თემას უპირისპირდება ჟანრულ-საცეკვაო, მინამღერის ტიპის II თემა), ანდა სხვადასხვა იდეების განსახიერებას წარმოადგენდნენ (ვერდის ოპერაში „ტრაგიატა“, საორკესტრო შესავალში, დაპირისპირებულია სიყვარულის, ანუ სიცოცხლის, და ვიოლეტას სიკვდილის მუსიკალური სახეები). მეხსიერების კანონებიდან გამომდინარე, რიგში პირველი და უკანასკნელი ელემენტი ყველაზე უკეთ აღიბეჭდება ადამიანის გონებაში. რამდენადაც აქ სულ ორი ასეთი ელემენტი (ორი ნაწილი), ამდენად თითოეულ მათგანს საკმარისი „ძალა“ გააჩნია. სახეზეა ორი ძალის აქტუალურად მიმდინარე დაპირისპირება; მოცემული ფორმის იდეა სწორედ ამგვარი დაპირისპირების ჩვენებაშია.

II.5. მარტივი სამნაწილიანი ფორმის ძირითადი გამომსახველი შესაძლებლობები დაკავშირებულია ორი მუსიკალური სახის თანაფარდობის ჩვენებასთან, რომელთაგან პირველი მათგანი იმკვიდრებს წამყვან როლს (მხედველობაში გვაქვს რეპრიზული სამნაწილიანი ფორმა). ამდენად, ამ ფორმაში ვლინდება მუსიკალურ სახეებს, იდეებს შორის ფუნქციურად არათანასწორუფლებიანი, იერარქიული დამოკიდებულების ჩვენების შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა რეპრიზის პრინციპის გამოყენების შედეგია – საწყისი მუსიკალური სახის რეპრიზული გამეორება ანიჭებს მას წამყვან მნიშვნელობას.

ამ არათანასწორუფლებიანობის ფსიქოლოგიური საფუძველი მეხსიერების კანონზომიერებებში უნდა ვეძიოთ, კერძოდ, ადამიანს უკეთ ამახსოვრდება ა) გამეორებული მასალა და ბ) თანმიმდევრობაში პირველი და უკანასკნელი ელემენტი. რეპრიზულობის მოვლენიდან გამომდინარე, მარტივ სამნაწილიან ფორმაში პირველ და უკანასკნელ ელემენტად საწყისი მუსიკალური სახე გვევლინება.

გამოიყოფა ამ ფორმის ორი ნაირსახეობა: განვითარებადი და კონტრასტული შუა ნაწილებით. შესაძლებლად მიგვაჩნია ამგვარი ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია: განმავითარებელი შუა ნაწილის შემთხვევაში, საწყისი მუსიკალური სახის ექსპონირებას (I ნაწილი) მოსდევს მისგან დაშორება (II ნაწილი), შემდგომი დაბრუნებით (III ნაწილი, რეპრიზა). ასეთი პატერნი სახეშეცვლილი დაბრუნებით განხილულია პჩაიკოვსკის რომანსში „ასე მძლე დავიწყება“ („Занять так скоро“, თხზ. 6). კონტრასტული შუა ნაწილის შემთხვევაში კი, როგორც აღვნიშნეთ, რეპრიზაში საწყისი მუსიკალური სახის მხრიდან მეორე მუსიკალური სახის გადალახვასთან, მის დაქვემდებარებასთან გვაქვს საქმე (განიხილება პროკოფიევის „წამიერებანი“ №16, მი-მინორი).

II.6. რთულ სამნაწილიან ფორმაში ნაწილებს შორის კონტრასტის გაღრმავებას ხელს უწყობს ქანრული დაპირისპირებაც. ამავე დროს, ნაწილებს შორის ყოველთვის იჩენს თავს ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთლიანი ფორმის შიდა ერთიანობას – იგულისხმება ინტონაციური, კილო-ტონალური, მეტრულ-რიტმული, ფაქტურული, რეგისტრული, ტემბრული და ა.შ. საშუალებები. ეს ყოველივე ხორციელდება პირობებში, როდესაც კონტრასტი ნაწილებს შორის დაპირისპირების ტიპისაა (განსხვავებით სონატური ფორმისათვის დამახასიათებელი ამოზრდის ტიპის კონტრასტისაგან). რთულ სამნაწილიან ფორმას გამომსახველი შესაძლებლობების „მიდღარი არსენალი“ გააჩნია. ფსიქოლოგიის მონაცემებიდან ცნობილია, რომ ადამიანის მიერ აღქმული ველი ღიფერენცირდება გამოკვეთილ ფიგურად და ფონად. ამ მხრივ, რთული სამნაწილიანი ფორმა ძალზე მოქნილია – კომპოზიტორს სხვადასხვა ნაწილზე შეუძლია აქცენტის გაკეთება. ალბათ ამითაც აიხსნება ამ ფორმის ფართო გავრცელება როგორც დამოუკიდებელი მუსიკალური ნაწარმოებების, ასევე ციკლური კომპოზიციების შემადგენელი ნაწილის სახით, რომლის მაგალითად დისერტაციაში ბუთჰოვენის №2 საფორტეპიანო სონატის სკერცოა განხილული.

II.7. რთული ორნაწილიანი ფორმა თითქმის ყოველთვის ურეპრიზოა. ამ ფორმის ძირითადი გამომსახველი საშუალება – ფსიქოლოგიურად მკვეთრად დაპირისპირებულ მუსიკალურ სახეთა ჩვენების შესაძლებლობაა. ურეპრიზობა აძლიერებს ამ ფორმაში მადეზინტეგრირებელ ტენდენციებს. ამასთან დაკავშირებით, ეს ფორმა უპირატესად გამოიყენება ვოკალურ (მაგალითად, პჩაიკოვსკის რომანსი „ჩვენ ვიჯექით ერთად“ – „Мы сидели с тобой“) და სცენიურ მუსიკაში (დონ ჯოვანისა და ცერლინას დუეტი მოცარტის ოპერიდან „დონ ჯოვანი“ – „მომეცი ხელი“, ლიხას არია პჩაიკოვსკის ოპერიდან „პიკის ქალი“ – „საიდანაა ეს ცრემლები“ – „Откуда эти слёзы“). ამ ქანრებში სიტყვიერი ტექსტი, სიუჟეტი გვევლინება მუსიკალური ფორმის მთლიანობის უზრუნველყოფის დამატებით ფაქტორებად.

II.8. კონცენტრული პრინციპებით აგებულ ფორმებში (ABCBA, ABCDCBA და ა.შ.) იმის გამო, რომ საწყისი ელემენტების თანმიმდევრობა გამეორებისას შებრუნებულია, კომპოზიტორს აზრობრივი მახვილის დასმის შესაძლებლობაში მეტი თავისუფლება ეძლევა. ფსიქოლოგიური კუთხით, ნაწილების თანმიმდევრობის შებრუნება გამეორებისას, ჯერ ერთი, არღვევს ინერციას, მოლოდინის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ამით ახდენს მსმენელის აღქმის აქტივირებას. ამავე დროს, თანმიმდევრობის ეს შებრუნება მსმენელის დროში მცირე დეზორიენტირებას იწვევს. ადამიანი წარსულის განსენებისას მოვლენებს ერთმანეთს უკავშირებს. მოვლენათა თანმიმ-

დეგრობის შებრუნება ამ კავშირებს არღვევს, რის გამოც სათანადო მონაკვეთები ახლებურად განიცდება და მსმენელი იძულებულია ისინი ხელახლა დაუკავშიროს ერთმანეთს. ხდება მათი გადაფასება. ამდენად, მსგავსი ფორმები იწვევენ მსმენელის აღქმის აქტიურ „ამუშავებას“ ახალი მუსიკალური მასალის შემოტანის გარეშე. ამგვარი მაგალითებია: პ.ჩაიკოვსკის „ელეგია“ „სერენადიდან“ სიმებიანი საკრავებისათვის, ნ.რიმსკი-კორსაკოვის „გედის არია“ ოპერიდან „ზღაპარი მეფე სალთანზე“, შოპენის ბალადა №1 სოლ-მინორი, ზ. ფალიაშვილის „დაისის“ შესავალი.

II.9. რონდოს ფორმის მთავარი გამომსახველი შესაძლებლობა გამომდინარეობს ფორმის პრინციპიდან – მთავარი მუსიკალური სახის (რეფრენი) არაერთჯერადი მონაცვლეობა სხვა მუსიკალურ სახეებთან (ეპიზოდებთან), სახეზეა ცვალებადის და უცვლელის მონაცვლეობა, რაც განსაზღვარავს კიდევ ამ ფორმის შიდა დინამიკას.

რონდოში შეხამებულია იგივეობის და კონტრასტის ფუძემდებლური პრინციპები. იგივეობა ვლინდება რეფრენის ექსპონირებასა და არაერთგზის გამეორებაში, ხოლო კონტრასტი – განსხვავებულ ეპიზოდების წარმოქმნაში. რეფრენის გამეორებები წარმოქმნის ოსტინატურობის ტენდენციას, რომელიც ამ ფორმაში მოქმედ ცენტრისკენულ ტენდენციებთანაა დაკავშირებული, ხოლო ცენტრიდანული ძალის განმასახიერებლად გვევლინება ეპიზოდები და მათი კონტრასტული დაპირისპირებები რეფრენთან.

რონდოს შემთხვევაში, ასე ვთქვათ, „წყვიტილ გამეორებასთან“ („დისკრეტული ოსტინატო“) გვაქვს საქმე. ეს ვითარება ფსიქოლოგიური კუთხით რამდენიმე შედეგს წარმოქმნის:

1) რეპრიზულობის მოვლენა განამტკიცებს ერთმანეთის მიყოლებით ნაჩვენებ ორ მუსიკალურ სახეთაგან პირველს, რომელიც მეტი „წონისა“ და წამყვანი სტატუსის მატარებელი ხდება. რამდენადაც რონდოში ეს მოვლენა არაერთგზის ხორციელდება, რეფრენი ყოველი ეპიზოდის შემდეგ, ასე ვთქვათ, „ძალას იკრებს“, ანუ, რონდოში ვხედავთ ერთი მუსიკალური სახის დაბეჯითებით განმტკიცებას, პირველობის მოპოვებას „მეტოქე“ მუსიკალურ სახეებთან „ჭიდილში“.

2) რეფრენის ეს „სიმტკიცე“ იძლევა საშუალებას კონტრასტულ მუსიკალურ სახეთა „კალეიდოსკოპის“ ექსპონირებისა, რაშიც რონდოს ფორმის მეორე გამომსახველი შესაძლებლობა მდგომარეობს. ფსიქოლოგიური კუთხით, რეფრენში ნაცნობი ინფორმაცია „სტაბილურობის ზონად“ შეიძლება მივიჩნიოთ, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება უცნობი მოვლენების შემეცნება. იქმნება გარკვეული მსგავსება ჩვილი ბავშვის შემეცნებულ ქცევასთან უცნობ გარემოში, როდესაც რეფრენის როლში დედასთან კონტაქტი გვევლინება, ხოლო ეპიზოდების როლს – ბავშვის მიერ

გარემოს ახალ-ახალი ასპექტების შემეცნება ასრულებს. ამ მაგალითის მოყვანა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სტაბილურად შენარჩუნებული და განახლებადი ელემენტების მონაცვლეობა მუსიკალური აზროვნების არქაულ პრინციპს წარმოადგენს. იგივე პრინციპი ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც ვლინდება (მაგალითად, ზღაპრები, მითები, ლექსწყობის ფორმები).

3) რამდენადაც რონდოს ფორმაში კონტრასტი მრავალჯერა-დია, ეს გამოვრება წარმოქმნის კონტრასტული პრინციპის **გამოვლენის მრავალფეროვნების** ინერციის ჩამოყალიბებას (მით უფრო ძლიერის, რაც უფრო მეტია ეპიზოდების რაოდენობა). აღნიშნული ქმნის გარკვეულ წინაპირობებს, რათა კონტრასტის იდეა უფრო ზოგად, აბსტრაქტულ დონეზე იქნას აღქმული. რონდოს ფორმის გამომსახველობის ხსენებული ფსიქოლოგიური წინამძღვრების გამოვლენა სახეზეა შუმანის „ვენის კარნავალის“ I ნაწილში, გლინკას „ვალს-ფანტაზიაში“, მუსორგსკის „საფორტეპიანო ციკლში“ „სურათები გამოფენიდან“.

II.10. ვარიაციული ფორმის ძირითადი მუსიკალურ-დრამატურ-გიული შესაძლებლობაა მოცემული თემა-სახის მრავალფეროვნების გაშლა, მისი შესაძლო გარდაქმნათა პოტენციალის გასხნა (კონსტრუქტი „მრავალფეროვნება – ერთი ფერის დომინირება, მონოქრომულობა“).

ვარიირება მუსიკალური აზროვნების, ხელოვნების ძირითად, გენეტიკურად საწყის პრინციპს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიური კუთხით, ვარიაციები ეფუძნებიან მეხსიერების ფორმის, ცნობის მუშაობას – რაც არ უნდა გადასხვაფერებული იყოს მუსიკალური სახე თავისუფალ, სახასიათო ვარიანტში, მსმენელმა მასში ინვარიანტის თვისებები უნდა ამოიცნოს (კონსტრუქტი „ნაცნობი – უცნობი“).

სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი მსგავსება-განსხვავების აღქმის ფსიქოლოგიური პრინციპები (კონსტრუქტი „იგივეობა-კონტრასტი“) ხელს უწყობენ მეზობელი ვარიაციების ჯგუფებად გაერთიანებას. მსგავს ვარიაციებს შორის მოქმედებს ასიმილაციის ფსიქოლოგიური პრინციპი (მცირე განსხვავების კიდევ უფრო მეტად აღქმის ტენდენცია), ხოლო განსხვავებულ ჯგუფებს შორის – კონტრასტის ფსიქოლოგიური პრინციპი (დიდი განსხვავების უფრო დიდად აღქმის ტენდენცია). უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსებაც და განსხვავებაც, ჯერ-ერთი, შედარებითია, მეორეც, ურთიერთდამოკიდებული. ხსენებული პრინციპების მოქმედების შედეგად „მეორეული ფორმა“ წარმოიქმნება (სამნაწილიანი, რონდოს, სონატური, „დიდი პოლიფონიური ფორმის“ სახით). ამგვარი ფორმის წარმოქმნას ხელს უწყობს ადამიანის მოთხოვნილება თავი აარიდოს განუსაზღვრელობას და მისი უნარი – გარე-

მოში პატერნები, კანონზომიერებები გამოავლინოს. რამდენადაც ვარიაციული ფორმის სათავეები (კუპლეტურთან ერთად) ადამიანის მუსიკალური აზროვნების უძველეს და უნივერსალურ შრეებში უნდა ვეძიოთ, ლოგიკური იქნება, მასში ადამიანის ფსიქიკის უნივერსალური და ზოგადი კანონზომიერებების მოქმედება დაეინახოს. გავისხენოთ, რომ კ. იუნგის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ადამიანს გააჩნია ფსიქიკის გარკვეული შრე, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის და რომელიც მას დაბადებიდან მოსდგამს (ე.წ. „კოლექტიური არაცნობიერი“). „კოლექტიური არაცნობიერის“ შემადგენელი არქეტიპები (როგორც ალინიშნა, არქეტიპში მოიაზრება ფსიქიკური შინაარსის გაჩენის აპრიორულად, იმთავითვე მოცემული შესაძლებლობა; ის შეიძლება შევადაროთ ერთგვარ კალაპოტს, რომელიც წარმართავს ფსიქიკური ენერჯის დინებას, მის ამა თუ იმ სახის კონკრეტულ შინაარსად ჩამოყალიბებისას) თავს იჩენენ ადამიანის ფანტაზიის სხვადასხვა პროდუქტში – სიზმრებში, ოცნებებში, ხელოვნებაში, ასევე სხვა სფეროებშიც. თუ არქეტიპების გამოვლენის დინამიკას შევხედავთ, დაეინახავთ, რომ სახეზეა:

ა) გარკვეული ინვარიანტი და ბ) მისი გამოვლინებები. ეს უკანასკნელი ყოველ ჯერზე მოდიფიცირებული არიან შესაბამისი კონტექსტითა და „გეოგრაფიით“.

შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული გამოვლინებები ვარიაციებს წარმოადგენენ კაცობრიობის კოლექტიური არაცნობიერის, კოლექტიური სულის მიერ შექმნილ თემებზე.

ვარიაციული ფორმის გამომსახველ-დრამატურგიული შესაძლებლობები და მათ საფუძველად მდებარე ფსიქოლოგიური მექანიზმები ნათლად ვლინდება, მაგალითად, ბეთჰოვენის „33 ვარიაციაში დიაბელის თემაზე“, შოსტაკოვიჩის პრელუდიაში სოლ-დიეზ მინორი, op.87 (პრელუდია დაწერილია basso-ostinato-ს ვარიაციების სახით), შოსტაკოვიჩის „შემოჭრის ეპიზოდში“ №7 სიმფონიის I ნაწილიდან, რაველის „ბოლეროში“.

II.11. სონატურ ფორმაში მუსიკალური სახეების განვითარების გაცილებით უფრო რთულ პატერნებთან გვაქვს საქმე, სხვა ფორმებთან შედარებით. ხშირად პოულობენ კავშირს ამ პროცესებსა და ჰეგელის ცნობილ დიალექტიკურ ტრიადას შორის: კავშირი მეტწილად ორ კომპოზიციურ დონეზე მოიაზრება (ექსპოზიციურ და მთელი ფორმის). ექსპოზიციურ დონეზე თეზისად მიიჩნევენ მთავარი პარტიის მუსიკალურ სახეს, ანტითეზისად დამხმარე პარტიის მუსიკალურ სახეს, რომლის ამოზრდა მთავარი პარტიის მასალიდან ხორციელდება შემაკავშირებელ პარტიაში. დასკვნითი პარტია მიჩნეულია სინთეზის განხორციელების არედ. ხოლო მთელი სონატური ფორმის დონეზე ეს თანაფარდობა შემდეგნაირადაა

გადანაწილებული – თეზისად გვევლინება ექსპოზიცია, ანტითეზისად – დამუშავება, ხოლო სინთეზად – რეპრიზა. სონატური ფორმის ამ კუთხით გააზრების მაგალითად დისერტაციაში განიხილება ბეთჰოვენის მე-5 საფორტეპიანო სონატის I ნაწილი.

მთლიანობაში, სონატურ ფორმაში ზოგჯერ თეატრალური დრამის ანალოგიას იხილავენ. თეატრალურ ჟანრებს სიუჟეტი გააჩნიათ. ისმის კითხვა – შეიძლება თუ არა ასეთი სიუჟეტის გამოვლენა სონატურ ფორმაში (სიუჟეტთან დაკავშირებით, ამჯერად არ ვგულისხმობთ პროგრამულობას). დრამის სიუჟეტი ჩვეულებრივ გაიგება, როგორც რაღაც ამბავი, რომელიც ამა თუ იმ პერსონაჟებს შეემთხვათ. ცნობილია, რომ არსებობს პროექციის და იდენტიფიკაციის უნივერსალური ფსიქიკური მექანიზმები (პროექცია – ფსიქოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც პიროვნება თავის გაუცნობიერებელ მისწრაფებებს, განცდებს, მოტივებს სხვა ობიექტებს – ადამიანებს, ცხოველებს, ბუნების მოვლენებს მიაწერს. იდენტიფიკაცია კი – პროცესი, როდესაც პიროვნება გაუცნობიერებლად აიგივებს საკუთარ თავს სხვა ადამიანებთან, ცხოველებთან, ბუნების მოვლენებთან). ამ მექანიზმების მოქმედების შედეგად, სუბიექტს შეუძლია გარესამყაროზე, მის პერსონაჟებზე საკუთარი შინაგანი, ინტრაფსიქიკური რეალობის სხვადასხვა ასპექტისა და ამ ასპექტების ურთიერთქმედების პროცირება. ასე, გარესამყაროში მიმდინარე პროცესი იქცევა „ეკრანად“, რომელზეც აისახება ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესები.

ასეთ ეკრანად თითქმის ყველაფერი შეიძლება მოგვევლინოს, მათ შორის ხელოვნების ნიმუშებიც (გავისხენოთ, რომ ანტიკური თეატრის დანიშნულებად არისტოტელეს კათარსისი, ანუ სულის განწმენდა მიაჩნდა).

რამდენადაც პროექციის პროცესების ასამოქმედებლად ნებისმიერი მრავალმნიშვნელოვანი სტიმული შეიძლება გამოდგეს, მუსიკალური თემაც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ეს კი ნიშნავს, რომ დრამის პრინციპებზე აგებული სონატური ფორმის შინაარსის ახსნა, ზოგ შემთხვევაში მაინც, ადამიანის ინტრაფსიქიკურ რეალობაში უნდა ვეძიოთ (გავისხენოთ გერმანელი მუსიკოლოგის ი. მათეზონის ნათქვამი, რომ კარგი მელოდია უნდა შეიცავდეს „რაღაც ისეთს“, მთელი სამყაროსათვის ნაცნობსო. იხ. შონბერგი, 1979: 20).

ამდენად, საკითხი სონატური ფორმის შესაძლო სიუჟეტის შესახებ ასეთ სახეს იძენს: რა ფსიქიკური პროცესები შეიძლება მოვიაზროთ სონატური ფორმის ზოგად სიუჟეტად?

კ. იუნგის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ადამიანის „მე“ განვითარებას განიცდის, რომლის საბოლოო მიზანია „ერთიანი, განუმეორებელი და მთლიანი ინდივიდის ჩამოყალიბება“ (ჰიელდი...

2002: 205), ანუ ადამიანში მიმდინარეობს ინდივიდუაციის პროცესი. ეს პროცესი (რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება) გულისხმობს „ადამიანის შიგნით მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოქმედი ძალების და ტენდენციების ინტეგრაციას (პიელდი... 2002: 205)“. ამ პროცესის მიმდინარეობისას, „ადამიანი ღებება აუცილებლობის წინაშე, გაიგოს იმის ღირებულება, რაც წარსული იდეალების საპირისპირო იყო, დარწმუნდეს იმის სიმცდარეში, რაც მას ადრე სწამდა, აღიაროს ის არა-ტეშმარიტება, რომელსაც ძველი ტეშმარიტება შეიცავდა და იგრძნოს, თუ რამდენ წინააღმდეგობას და მტრობასაც კი შეიცავდა ის, რაც ადრე სიყვარულად მიგვაჩნდა (იუნგი, 1994: 117).“

